გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

ხარვეზის დადგენის თაობაზე

საქმე №3/7382-22

28 ოქტომბერი, 2022 წელი

თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე ბაია ოტიაშვილი

მოსარჩელე - ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა

მოპასუხე - საქართველოს მთავრობა

დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, საჯარო ინფორმაციის გაცემა

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელის წარმოებაში მიღების და დასაშვებად ცნობის საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2022 წლის 25 ოქტომბერს ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივამ სარჩელით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს მთავრობის მიმართ, შემდეგი სასარჩელო მოთხოვნით:

1. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირის ვირტუალური უარი, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გამოცემის შესახებ.

2. დაევალოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს ს(ს)იპ მწვანე ალტერნატივაზე" 2022 წლის 14 სექტემბრის N22/09/03-93 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა.

სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 445-447-ე მუხლების შესაბამისად, შეამოწმა წარმოდგენილი სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი და გამოარკვია, რომ სარჩელი სასამართლოში წარმოდგენილია ხარვეზით, კერძოდ:

- არ არის წარმოდგენილი სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი - ქვითარი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე მუხლის პირველი წინადადებით განსაზღვრულია, რომ სასამართლო ხარჯები (სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები), კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, წინასწარ შეაქვს მხარეს, რომელმაც შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულება მოითხოვა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მე-2[1] ნაწილის თანახმად, სარჩელს უნდა ერთვოდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი). სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად სახელმწიფო ბაჟის ოდენობა არაქონებრივ დავაზე შეადგენს 100 ლარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ უნდა წარმოადგინოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი - ქვითარი 100 ლარის ოდენობით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ"-"თ" პუნქტების მიხედვით, სარჩელში უნდა იქნეს ჩამოყალიბებული დავის საგანი, მისი შესაბამისი მოთხოვნები, მოთხოვნების ფაქტობრივი საფუძვლები და მითითება კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელ მტკიცებულებებზე.

მოსარჩელე უთითებს რომ კონკრეტული მოთხოვნით მიმართა საქართველოს მთავრობას, თუმცა მიმართვის დამადასტურებელი მტკიცებულება სარჩელს არ ერთვის.

სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 447-ე მუხლის თანახმად, თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილში ან/და 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით ან/და არ არის წარდგენილი სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენიც მოპასუხეა, ან/და სარჩელს არ ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, სასამართლო გამოიტანს ხარვეზის შესახებ განჩინებას და მოსარჩელეს დაუნიშნავს ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და

მოსარჩელისათვის მისი დაბრუნების შესახებ, რაზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილ სარჩელზე უნდა დადგინდეს ხარვეზი და მის შესავსებად უნდა განისაზღვროს 10 დღის ვადა, განჩინების მოსარჩელე მხარისათვის ჩაბარებიდან.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2, მე-13, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 447-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას სარჩელზე დადგენილ იქნეს ხარვეზი და განჩინებაში მითითებული ხარვეზის შესავსებად განისაზღვროს 10 დღის ვადა, განჩინების ასლის მოსარჩელე მხარისათვის ჩაბარებიდან;

2. განემარტოს მოსარჩელეს, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და უკან დაბრუნების შესახებ;

3. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

მოსამართლე **ბაია ოტიაშვილი**